



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N22 - QR გადახდა

1. ამ დანართის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. **გადამხდელი** - რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს ანგარიშს **ბანკში** და ამავდროულად სარგებლობს **ბანკის** მობილ ბანკის აპლიკაციით;
 - 1.2. **გადამხდელის ანგარიში** - საგადახდო ანგარიში, რომელზეც დაკავშირებულია აქტიური **ბანკის** საკრედიტო ან/და სადებეტო ბარათები (ბარათი არ უნდა იყოს დაბლოკილი, ვადაგასული ან/და სხვა რაიმე ფორმით შეზღუდული გამოყენებისთვის);
 - 1.3. **QR კოდი** - მატერიალური ფორმით დაბეჭდილი კოდი (ოპტიკური ეტიკეტი, რომელიც შედგება შავი ფერის კვადრატული ფიგურებისგან), რომელსაც გააჩნია უნიკალური ID ნომერი და გამოსახულია თეთრ ფონზე. მისი სკანირება შესაძლებელია სპეციალური მოწყობილობით, რომელსაც შეუძლია ხსენებული გამოსახულების წაკითხვა (მაგალითად ტელეფონის ფოტო კამერის მეშვეობით).
 2. **QR გადახდა** წარმოადგენს **ბანკის** მიერ შემუშავებულ გადახდის მეთოდს, რომლითაც შესაძლებელია **QR კოდის** მფლობელთან მყისიერად თანხის გადარიცხვა ან/და ანგარიშსწორება.
 3. **QR გადახდით** სარგებლობისათვის:
 - 3.1. **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკს განცხადებით**;
 - 3.2. **კლიენტს** უნდა გააჩნდეს **ბანკში** მინიმუმ ერთი მიმდინარე **ანგარიში** ეროვნულ ვალუტაში;
 - 3.3. **კლიენტს** უნდა გააჩნდეს სპეციალურად მისთვის მატერიალური ფორმით დაბეჭდილი **QR კოდი**;
 - 3.4. **გადამხდელი** უნდა სარგებლობდეს **ბანკის** მობილ ბანკის აპლიკაციით.
 4. **კლიენტის** ერთ **ანგარიშთან** შესაძლებელია რამდენიმე **QR კოდის** დაკავშირება/მიბმა.
 5. **QR გადახდით** დაშვებული ოპერაციებია:
 - 5.1. გადახდა საბარათე ანგარიშიდან;
 - 5.2. გადახდა PLUS ქულებით;
 6. **ბანკი** უფლებამოსილია **QR გადახდებით** შესრულებულ გადახდის ოპერაცია(ებ)ზე განუსაზღვროს **კლიენტს** მაქსიმალური ან/და ყოველთვიური ლიმიტი.
 - 6.1. **კლიენტის** მიერ **QR გადახდით** სარგებლობისათვის **ბანკის** სასარგებლოდ გადასახდელი **საკომისიოს** ოდენობა და გადახდის პერიოდულობა განისაზღვრება დანართი N1 (საკომისიოები) შესაბამისად.
7. **კლიენტი** ვალდებულია:
 - 7.1. **გადამხდელს** მოსთხოვოს ან/და მიიღოს **QR გადახდები** მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.
 - 7.2. **ბანკისაგან** უპირობოდ მიიღოს და მიღებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოიყენოს ან/და განათავსოს მხოლოდ **ბანკის** მიერ მოთხოვნილი პირობების შესაბამისად.
 - 7.3. გამოიყენოს **QR კოდი** და მასთან დაკავშირებული სხვა ნივთი/დოკუმენტაცია/ინფორმაცია მხოლოდ **ამ დანართის** მიზნებისათვის და არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება.
 - 7.4. **QR კოდის** დაკარგვა/დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს** ახალი **QR კოდის** მისაღებად ან/და დაკარგული **QR კოდის** გასაუქმებლად.
 - 7.5. **ბანკის** განსაკუთრებული და ექსკლუზიური უფლების დასაცავად მიიღოს ამ **დანართით** გათვალისწინებული მომსახურება მხოლოდ **ბანკისგან**, რაც ამავდროულად გამორიცხავს სხვა ფინანსური ინსტიტუტების ანალოგიური მომსახურებით სარგებლობას;
 - 7.6. არ მოითხოვოს **გადამხდელისგან** მისი პირადი რეკვიზიტები (ტელეფონის ნომერი, მისამართი და სხვ.), როგორც **QR გადახდის** შესრულების აუცილებელი პირობა, თუ ამ **დანართით** სხვა წესი არ არის განსაზღვრული.
 - 7.7. გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, **გადამხდელს** არ განუცხადოს უარი **QR გადახდის** განხორციელებაზე.



- 7.8. არ მოთხოვს **გადამხდელს QR - გადახდების** მიღებისას დამატებით საფასურის (მათ შორის საკომისიოს) გადახდა.
- 7.9. **გადამხდელის** მიერ **ოპერაციის** გაუქმების მოთხოვნის შემთხვევებში, იხელმძღვანელოს ამ **დანართის მე-11 პუნქტის** პირობების შესაბამისად. ამ **პუნქტის** მიზნებისთვის **კლიენტს** ეკრძალება **გადამხდელისთვის** თანხის ან/და მისი ნაწილის დაბრუნება **ანგარიშზე** გადარიცხვის გარეშე.
- 7.10. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ინფორმაცია ნებისმიერ კომერციულ ბანკში არსებული საკუთარი საბანკო ანგარიშების შესახებ (მათ შორის მიაწოდოს **ბანკს**, სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერები).
- 8. **კლიენტი** უფლებამოსილია:
 - 8.1. ვადაზე ადრე გააუქმოს ამ **დანართით** გათვალისწინებული მომსახურება **ბანკისთვის** არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით, იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი** არღვევს ამ **დანართით** ნაკისრ ვალდებულებას და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება **კლიენტის** წერილობითი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
 - 8.2. მოთხოვოს **ბანკს** წინამდებარე **დანართით** გათვალისწინებული **მომსახურების** შეწყვეტა 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
- 9. **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 9.1. არ განახორციელოს **კლიენტის QR გადახდებით** მომსახურება, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** (მათ შორის **ამ დანართით**) ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.
 - 9.2. **კლიენტის** მიერ **ამ დანართით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ცალმხრივად მოახდინოს **კლიენტისთვის** დაწესებული **საკომისიოს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცვლილება (გაზრდა) ან/და დაუწესოს **კლიენტს საკომისიო** (იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** არ აქვს დაწესებული **QR გადახდებით** მომსახურების **საკომისიო**) წინასწარი შეტყობინების საფუძველზე თუ **ამ დანართით** ან/და **მხარეთა** შეთანხმებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
 - 9.3. ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **ამ დანართით** გათვალისწინებული მომსახურება:
 - 9.3.1. **კლიენტისათვის** არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
 - 9.3.2. ნებისმიერ დროს **კლიენტისათვის** გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ სახეზეა **კლიენტის** მხრიდან **ამ დანართით** ან/და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობ(ებ)ის დარღვევა.
 - 9.3.3. ცალმხრივად განსაზღვროს **QR კოდის** მისაღებად **კლიენტის** მიერ დასაკმაყოფილებელი მოთხოვნები.
- 10. **QR გადახდის** განხორციელება:
 - 10.1. **QR გადახდის** შესრულება შესაძლებელია **გადამხდელის** მიერ მობილ ბანკში ავტორიზაციის გავლის შემდეგ (**ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად).
 - 10.2. **QR გადახდის** შესრულებამდე საჭიროა მოხდეს **QR კოდის** წაკითხვა/სკანირება **გადამხდელის** მობილური ტელეფონის ფოტო/ვიდეო კამერის მიახლოების გზით.
 - 10.3. **ოპერაციის** წარმატებით შესრულების შემთხვევაში, **კლიენტს ფინანსურ ნომერზე** ეგზავნება სმს შეტყობინება თანხის ჩარიცხვის შესახებ.
 - 10.4. **კლიენტის ანგარიშზე** **ოპერაციის** თანხის ასახვა **ბანკის** მიერ მოხდება **QR გადახდის** შესრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში.
- 11. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება
 - 11.1. **QR გადახდის** შედეგად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება შესაძლებელია **გადამხდელის** მიერ მობილ ბანკიდან ავტორიზაციის გავლის შემდეგ.



- 11.2. QR გადახდით გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ინიცირების შემთხვევაში, კლიენტს განაცხადში დაფიქსირებულ საკონტაქტო ნომერზე ეგზავნება ოპერაციის გაუქმების კოდი. გადამხდელის მიერ აღნიშნული კოდის მითითება მობილ ბანკში გამოიწვევს ბანკის მიერ, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე კლიენტის ანგარიშიდან თანხის დაბრუნებას გადამხდელის ანგარიშზე.
- 11.3. QR გადახდის შედეგად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა არ შესრულდება იმ შემთხვევაში, თუ ამ მომენტისთვის კლიენტის ანგარიშზე არ არის შესაბამისი ოდენობის თანხა ან/და წარმოდგენილი იქნება რაიმე სახის (სამართლებრივი ან/და სხვა სახის) შეზღუდვა.
- 11.4. QR გადახდის შედეგად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა შესაძლებელია QR გადახდის შესრულებიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

კლიენტი

/_____/

თარიღი: [რიცხვი] [თვე] 20[••] წელი